საქართველო

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 1/1396-14
„21" 10 2008

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო
მდივნის სამსახური

შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასასრულებლად, გიგზავნით, 2008 წლის 3 ოქტომბერს ხელმოწერილი "საქართველოსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის (სიღარიბის დაძლევის მხარდაჭერის მეოთხე ოპერაცია) დაფინანსების ხელშეკრულების ცვლილების შესახებ ხელშეკრულების" ინგლისურენოვანი ორიგინალისა და ქართულენოვანი ოფიციალურად დამოწმებული ტექსტების ასლებს შესაბამისი უწყებების დასკვნებითურთ.

ამასთან, გაცნობებთ, რომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების საქართველოს პარლამენტში წარდგენის შემთხვევაში, მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი.

დანართი: 21/ფურცელი.

ნინო კალანდაძე
მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელი

№ 2/1623
22 10 2008
22

21/287
21. 10. 08

0118 თბილისი, შოთ ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (995 32) 284648; ფაქსი; (995 32) 284678
www. mfa.gov.ge

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

№ 07-01/9294 „3" 10 2008

თქვენს №

ფრიად სასწრაფო

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო კალანდაძეს

ქალბატონო ნინო

გაცნობებთ, რომ 2008 წლის 3 ოქტომბერს საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ბატონმა ნიკა გილაურმა და მსოფლიო ბანკის განვითარების საერთაშორისო ასოციაციის სახელით საქართველოში მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ბატონმა ვან როი საუთვორსმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას დაფინანსების ხელშეკრულების ცვლილების შესახებ (სიღარიბის დაძლევის მხარდაჭერის მეოთხე ოპერაცია-PRSO-IV). აღნიშნული ცვლილება ითვალისწინებს PRSO-IV-ის ფარგლებში იგივე ფინანსური პირობებით დამატებით 25.5 მლნ SDR-ის (დაახლოებით 40მლნ აშშ დოლარი) გამოყოფას 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მხარდასაჭერად.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხი არის შეღავათიანი, მისი ხანგრძლივობაა 20 წელი, შეღავათიანი პერიოდი 10 წელი. საპროცენტო განაკვეთი წლიური 0.75%, ვალდებულების გადასახადი სესხის აუთვისებელ თანხაზე წლიური არაუმეტეს 0.5% -ისა.

საფინანსო-ეკონომიკური თვალსაზრისით აღნიშნული სესხი ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანია. სესხი ითვალისწინებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მხარდაჭერას.

გიგზავნით დეპონირებისათვის ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ორიგინალს, მის არაოფიციალურ ქართულ თარგმანს და შესაბამისი უწყებების დასკვნებს დაფინანსების ხელშეკრულების ცვლილებასთან დაკავშირებით.

გთხოვთ უზრუნველყოთ ხელშეკრულების ძალაში შესვლისათვის აუცილებელი პროცედურების განხორციელება.

საგარეო საქმეთა
№ 19324/2
„3" 10 2008

დანართი:

1. ხელშეკრულება დაფინანსების ხელშეკრულების ცვლილების შესახებ (ორიგინალი, 5 გვერდი ინგლისურ ენაზე);
2. ხელშეკრულება დაფინანსების ხელშეკრულების ცვლილების შესახებ (არაოფიციალური ქართული თარგმანი 10 გვერდზე);
3. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2008 წლის 24 სექტემბრის №01/23/13-7110 წერილის ასლი;

ქ. თბილისი 0114, ჯ. გორგასლის ქ. №16, ტელ.: 446412, ფაქსი: 457442, ელ-ფოსტა: info@mof.ge
16 Gorgasali Street, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: 446412, Fax: 457442. E-mail: info@mof.ge

4. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2008 წლის 26 სექტემბრის 2/16240-13 წერილის ასლი;
5. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2008 წლის 24 სექტემბრის №14/2437/3-8 წერილის ასლი;
6. საქართველოს ეროვნული ბანკის 2008 წლის 23 სექტემბრის №171/03 წერილის ასლი;

პატივისცემით,

დიმიტრი გვინდაძე
მინისტრის მოადგილე

ქ-ნ ნ. ხუციშვილ
29.09.2008

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

№ 01/23/13-7110 24.09 2008 წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ დიმიტრი გვინდაძეს

ბატონო დიმიტრი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი ა/წ 22 სექტემბრის №07-01/8823 წერილით წარმოდგენილი საქართველოსა და მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის „სიღარიბის დაძლევის ხელშემწყობი მეოთხე ღონისძიების" (PRSO) ფარგლებში გაფორმებული „დაფინანსების ხელშეკრულებაში" შესატანი ცვლილების თაობაზე ხელშეკრულების („ხელშეკრულება დაფინანსების ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ") პროექტი და მოგახსენებთ, რომ ამ უკანასკნელის მიმართ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს.

პატივისცემით,

თინა ბურჯალიანი
მინისტრის პირველი მოადგილე

2695
30.09.08

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
№ 15228-3
29 09 2008 წ.
შემავალი რაოდენობა

საქართველო, ქ. თბილისი, 0146, რუსთაველის გამზირი №30, ტელ.: 75-82-34, 75-83-85, ფაქსი: 75-82-34, ელ.ფოსტა: intprovisiondep@justice.gov.ge
30 Rustaveli ave., 0146, Tbilisi, Georgia, Tel.: 75-82-34, 75-83-85, Fax: 75-82-34, E-MAIL: intprovisiondep@justice.gov.ge

საქართველო

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 2/16240-13
26. 09 2008

30.09.2008.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ დიმიტრი გვინდაძეს

ბატონო დიმიტრი,

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განიხილა თქვენი მ. წ. 22 სექტემბრის N 07-01/8823 წერილის დანართად მოწოდებული „საქართველოსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის დაფინანსების ხელშეკრულების (სილარიბის დაძლევის მხარდაჭერის მეოთხე ოპერაცია) ცვლილებების შესახებ ხელშეკრულების შეთანხმებული პროექტი.

გაცნობებთ, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული ხელშეკრულების ხელმოწერა შეთანხმებული ტექსტის შესაბამისად.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

გრიგოლ ვაშაძე

2710
30.05.08

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
№ 15322-3
30. 09 2008 წ.
შემავლის რეგისტრაციის

0118 თბილისი, შოთა რუსთაველის ქ. №4; ტელ: (995 32) 284648; ფაქსი; (995 32) 284678
www. mfa.gov.ge

საქართველოს ეკონომიკური
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMIC
DEVELOPMENT OF GEORGIA

24.09 2008 წ. № 14/2437/3-8

1-6 ბ. ...

26.09.2008

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს,
ბატონ დიმიტრი გვინდაძეს

ბატონო დიმიტრი,

გაცნობებთ, რომ თქვენი, 2008 წლის 22 სექტემბრის წერილით წარმოდგენილ „დაფინანსების ხელშეკრულების ცვლილების შესახებ" ხელშეკრულების პროექტთან დაკავშირებით, რომელიც ეხება საქართველოსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის, სიღარიბის დაძლევის მხარდაჭერის მეოთხე ოპერაციის ფარგლებში, 40 მლნ აშშ დოლარის ოდენობის საბიუჯეტო სესხის გამოყოფის შესახებ გასაფორმებელ ხელშეკრულებას, შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

გიორგი ცხაკაია

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
№ 15111-3
26. 09 2008 წ.
ფარული კოდირების

2678
26.09.08

0108 თბილისი, ჭანტურიას ქ. № 12
12, G. Chanturia Str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (995 32) 93 33 61, 98 43 11
Fax: 92 19 29, 93 28 61, 92 01 08

საქართველოს ეროვნული ბანკი

0105, თბილისი, ლეონიძის 3/5
ტელ.: 99-65-05, ფაქსი: 99-93-46
ტელექსი: 212952 LEGAL GI
ელ. ფოსტა: info@nbg.gov.ge
კოდი: 20410484

Д-6 Д. Кикнадзе
24.09.2008

23.09.2008 № 171/03

საქართველოს ფინანსთა
მინისტრის მოადგილეს
ბატონ დ. გვინდაძეს

[თქვენს მწლის 22 სექტემბრის N07-01/8823 წერილზე]

ბატონო დიმიტრი,

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განიხილა მიმდინარე წლის 17 სექტემბერს მსოფლიო ბანკის საერთაშორისო ასოციაციასთან მოლაპარაკების დროს შეთანხმებული ხელშეკრულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ცვლილებების შეტანას მსოფლიო ბანკის განვითარების საერთაშორისო ასოციაციასთან გასაფორმებელი სიღარიბის დაძლევის ხელშემწყობი მეოთხე ღონისძიების (PRSO IV) დაფინანსების ხელშეკრულებაში.

გაცნობებთ, რომ აღნიშნული დოკუმენტის მიმართ საქართველოს ეროვნულ ბანკს თავის კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არა აქვს.

პატივისცემით,

დ. ამაღლობელი

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის
მოვალეობის შემსრულებელი

2650
25.09

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
№ 15012-3
24 09 2008
შემავალი კორესპონდენცია